მეტი ვიდრე უბრალოდ წყალი
MORE THAN JUST WATER

№ 9087709 D 30 09 14

წყალმომარაგება-წყალარინების ტექნიკური პირობა

ტექნიკური პირობის მომთხოვნი პირი: შპს "ასა ჯგუფი"

ობიექტის მისამართი: თბილისის ზღვაზე დიდ ყურესა და ზღვას შორის

მოთხოვნილი ხარჯი: 49-87 მ^3/დღეღამეში

ობიექტის დანიშნულება: მიმდინარე მშენებლობა

ობიექტის დროებითი წყალმომარაგება შეიძლება განხორციელდეს მიმდებარედ გამავალი დ= 75 მმ დიამეტრის ქსელიდან წყლის ხარჯის შესაბამისი დიამეტრის (ლ=50 გრძ.მ, დ=32მმ) განშტოების ჭისა და წყალმზომის კვანძის მოწყობით. წყალმზომის კვანძი უნდა მოეწყოს ობიექტის კუთვნილი ტერიტორიის საზღვარზე. წყალმზომის კვანძის ჭა და წყალმზომი უნდა შეესაბამებოდეს სახელმწიფო რეესტრში რეგისტრირებულ და გამოსაყენებლად დაშვებულ წყალმზომების ნუსხაში მოყვანილ ტიპს.

ობიექტის საკანალიზაციო ქსელი შესაძლებელია ჩაირთოს ხუდადოვის ქუჩაზე , ა.გ. სადგურთან გამავალ დ=400 მმ დიამეტრის ქსელში ლ=1500 გრძ.მ. უნდა მოეწყოს წნევიანი ქსელი (გადამქაჩი ტუმბო აგრეგატი). (მოსაწყობი წყალსადენ-კანალიზაციის განშტოებების დიამეტრები შესაძლებელია დაკორექტირდეს პროექტირების დროს, რომელიც უნდა შეთანხმდეს კომპანია GWP-სთან).

ობიექტის მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს ქსელებიდან დაშორების სანიტარული და სამშენებლო ნორმები, მათ შორის შენობა-ნაგებობის დაშორებას ქსელებიდან 5,0 მეტრით.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის და ასევე სამშენებლო კომპლექსის სხვა დანარჩენი ფართების წყალმომარაგების და/ან წყალარინების ქსელში ჩართვის პროექტი უნდა ითვალისწინებდეს ყველა საცხოვრებელი ბინის და კომერციული ფართის ინდივიდუალური მრიცხველით აღჭურვას, რომელიც დამოწმებული უნდა იქნეს დადგენილი წესის გათვალისწინებით კომპანიის მიერ და მონტაჟის შემდეგ GWP-ს უნდა წარედგინოს აღრიცხვის კვანძები დასალუქად. ყველა უკვე აშენებულ და ასაშენებელ საცხოვრებელ სახლში წყალმომარაგების შიდა ქსელის პროექტში გათვალისწინებული უნდა იქნეს ადგილი კიბის უჯრედზე (სადარბაზოში) წყალმზომის კვანძის მოწყობისათვის, ისე რომ ანათვალის აღება მოხდეს ბინაში შეუსვლელად. ყველა აშენებულ და ასაშენებელ საცხოვრებელი სახლის შემავალ წყალმომარაგების განშტოებაზე უნდა იყოს დამონტაჟებული საბალანსო აღრიცხვის კვანძი.

ზემოაღნიშნული მოთხოვნების საფუძველზე აუცილებლია წყალსადენ-კანალიზაციის გარე ქსელების პროექტის შედგენა და აღრიცხვის კვანძის მოწყობის ადგილების შეთანხმება შპს"ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერთან".

გარე ქსელების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე საჭიროა დაინტერესებულმა პირმა მიმართოს შპს-ს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი" სათანადო ხელშეკრულების გაფორმებაზე. ობიექტზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებელია გამოძახებული იქნას GWP–ის ტექნიკური ზედამხედველობის წარმომადგენელი, ტელ: 293 11 11, წინააღმდეგ შემთხვევაში კომპანია არ განახორციელებს ობიექტის წყალმომარაგება-წყალარინებას.

მომავალში, ობიექტის საჭირო ხარჯის გაზრდის შემთხვევაში უნდა მომართოთ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს.

ტექნიკურ პირობას აქვს 1(ერთი) წლის ვადა. თუ ამ ხნის განმავლობაში ვერ მოხერხდება ობიექტის აბონენტად გაფორმება, საჭირო იქნება მისი განახლება.

აქვე გაცნობებთ, რომ აღნიშნული ტექნიკური პირობა არ წარმოადგენს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების და ობიექტის ქალაქის მომქმედ ქსელებზე მიერთების საფუძველს. ქსელებზე მიერთება უნდა მოხდეს მხოლოდ შპს "ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"-ს მიერ შეთანხმებული გარე ქსლების პროექტის და სათანადო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. უნებართვოდ დაერთების შემთხვევაში გატარებული იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები.

პატივისცემით,

კონსტანტინე ღამბაშიძე

ახალი მიერთებების ჯგუფის უფროსი სპეციალისტ/წამყვანი